


ს ი ა ნ გ ი

ნან. გ. ლომიძისა

ახალი მხვერვალები



- საკვირველია, თითქოს მივუახლოვდი, მაგრამ მაინც ვერ ვხედავ კავკასიონის მწვერვალებს.
- ვერც დაინახავ, ფიურერ!
- რატომ?
- იმიტომ, რომ კავკასიონის მწვერვალებს უკვე ასცილდა დახრილ გერმანელთა გვამებისაგან აღმართული მწვერვალები.

რომ ქარს გაჰყვას!

მტერი ცდილობს ჩვენს მოსაზრებას, ჩვენს ფერფლად და ნაცრად ქცევას ჩვენი კერის და სახლკარის აოსრებას და დაქცევას. ვით აფთარი—ცოფით მთვრალი—აფათურებს სისხლში ტორებს და ფიქრობს, რომ ეს-ეს არი მთლად მიწასთან გაგვასწორებს. იმდენი მამა უცხოდა, რაც მას ზრახვა აუხდინოთ, — ისე დავსცხოთ, რომ მგლის მადა საბოლოოდ წავუხდინოთ. მაშ, არც ერთი ბიჭი უკან, რომ გავტეხოთ წელში მტერი, ქარს მიშქონდეს მისი ბურღლა, ცას სწვდებოდეს მისი მტვერი!

მტერსა ნებავე ჩვენი მიწა, თურმე მოსწონს იგი მეტად, და მის გულში დამარხული უხვ სიმდიდრის მოსახვეტად მოსახავს, და განზრახვა აქვს მფლობელობა დაიმკვიდროს, — ჩვენ გავგვარცვოს და ნაძარცვით თვით ოჯახი გაიმდიდროს. იმას ჩვენი ნავთი ნებავე, მადანი და ქვანახშირი, ჩვენს მინდვრებზე მოშრილად მსხვილთაგანაა ყუან სშირი, ჩვენი რკინა, ჩვენი თუჯი, სპილენძი, თუ ჩვენი ტყვია, ჩვენი მიწის ვრცელ წიაღში უხვ ფენებად რომ აწყვიდა.

რაკი ასე გულთ სწადის, მომხდურ დუშმანს—არამზადას, ნაწილობრივ შევფურსოთ ეს სურვილი—ჩვენც ვართ მზადა: ჩვენი უხვი მადნეულის მზა ნაწარმი იმდენი გვაქვს, რომ უწყვეტად ქარავენებით მომხდურთ—დასახვედრად მიგვაქვს. არ დავზოგავთ მათთვის ფოლადას, არც სპილენძს და არცა ტყვიას, მათთვის—ფსიხელ მზრუნველობით სავანეში რომ გვიწყვიდა, არც ყუმბარებს დავიშურებთ—ქვემეხებით ნატყორცნს—მჭიდროდ, არას დავზოგთ, რომ დუშმანი მიწის გულში დავამკვიდროთ. მაშ არც ერთი ბიჭი უკან, უნდა გატყდეს ისე მტერი, რომ ქარს გაჰყვას მისი ბურღლა, რომ ცას მისწვდეს მისი მტვერი!

ოგანს მელგარიძე

შ ე ს ა მ ე ბ უ ლ ნ ი

კავკასიის ფრონტზე წითელი არმიის ნაწილებმა მთლიანად გაუღიტეს გერმანელთა „მთის ვარდის“ ბატალიონი.

გაზეთებიდან

ნან. ლონისა



- როგორ შეეხამა კავკასიის მთას ჩვენი ბატალიონი „მთის ვარდი“?
- ვერ აიტანა აქაური შავა, მთლად დაიფურცლა.

ქრონიკალი
გეორგიანული



— მე თქვენ პირველად გხედავთ, მაგრამ ვატყობ, რომ საქმე მაქვს ჩინებულ ადამიანთან. წინა მგზავრობისას კი ერთ მგზავრს გადავეყარე... მან დაინახა თუ არა ავგერ ის ქარხანა, მაშინვე წამოიყვება, რომ იქ აშუშად კეთდება წარბაზნები. აი მოლაყბე, აი დოკუმენტები!

„საქმიანი“ დავაჩაქი

(კოწია და სილიბისტრო ტელეფონით ლაპარაკობენ)

სილ.— ალი კოწია ხარ? რა მოგივიდა ბიჭო, ძლივს ლაპარაკობი იქიფიფე ყოჩალ, სად ჩაცვებულე? რა გიშავს რა, მუდამ სხვის ხარჯზე ხარ. რაო? არ მესმის? აუწიე ცოტა ხმას, აუწი მეთქი! მასე ჰო, მასე! კვერცხი გადაყლაპე, კვერცხი... რაო? ისევე რა გიშავს. ფულების მეთი რაა ჩვენს ბანკებში? რა მინდა? რა უნდა მინდოდეს, შენი გამონაცვალის კოწია საქმე მაქვს შენთან, გესმის? რაო? გეძინება? რა დროს ძილია, ბიჭო, ახლა ვის სძინავს? სამსახურში არ მიხვალ? რაო? რა დროა და თორმეტს ცოტა უკლია... კოწია! კოწია (თავისთვის) რაღა სრიალებს მთი უბედური?

კოწია— (თავისთვის) რა უნდა ამ თჯანდაქვეულს? რა-ვაც იყო ახლა ჩამეძინა და... (ტელეფონით) სილიბისტრო! სილიბისტრო! ჰო, ჰო, მე ვარ, კაცო! რა გინდა? არ გესმის? (ხმას აუწევს) სილიბისტრო, სილიბისტრო! რაო? საქმე მაქვს? რა მოხდა ასეთი? თქვე რაღა, გისმენ! რაო? საიდუმლოა? მერე რა უშავს, მითხარი!

სილ.— (თავისთვის) მოდი და ელაპარაკე ასეთ კაცს— ღამით ქვიფობს, დღით სძინავს (ტელეფონით) კოწია! ეხლაც არ გესმის? (ხმას უწევს) კოწია! აუ! როგორ თუ რა მინდა? ჩამოაგდეს... ჩამოაგდეს!— რაო! გამოაგდეს? გამოაგდეს კი არა ჩამოაგდეს! ჩამოაგდეს! გაიგონე, ჩამოაგდეს! რაო?

როდის და ამ დილით! რა დროს ხუმრობაა. ხუმრობა კი არა, შიშის გამო ფეხზე ძლივს ვდგები!

კოწია— (თავისთვის) მგონი არ ხუმრობს. ნუთუ ასე მაგრად მეძინა? (ტელეფონით) რას ამბობ? მართალია? რაო, სად ჩამოაგდეს? ჩვენს ქუჩაზე? შენ გამოაგებ... მაინც სადა, რა ადგილას? ჩვენს ქუჩაზე. (თავისთვის) ამ ქუჩაზე რომ ყველა ჩვენი ცხოვრობენ:— ბებია და ბაბუა, სიდედრი და სიმამრი... (ტელეფონით) სილიბისტრო, სილიბისტრო! (თავისთვის) მგონი ტელეფონი ჩამოკიდა). სილიბისტრო! აუ! (ტელეფონს ჩამოკიდებს, აივანზე გარბის და სილიბისტროს ეძახის) სილიბისტრო, გამოდი გარეთ! ბიჭო, ტელეფონით არ ისმის, ავგერ არ ხარ შეკაცო? (იმავე სახლის სედა სართულის აივანზე გამოდის სილიბისტრო).

სილ.— შუადღე მშვიდობისა, კოწია გლახუნოვინ! ბოდიში რომ ასე ადრე გაგაღვიძე!

კოწია— ხუმრობას თავი დაანებე ბიჭო, მართლა ჩამოაგდეს?

სილ.— ჩამოაგდეს, მაშა აქვე, ჩვენი ქუჩის ბოლოში. მერე რაძეხლა იყო იცი? სამოცი ტონა კი იქნებოდა..

კოწია— სამოცი ტონა! რას ამბობ? ქუჩის ბოლოში ბიჭო, იქ რომ ბებია— ჩემი ცხოვრობს.

სილ.— ბებიაშენი? საწყალი, მგონია დასცემია ბიჭო.

კოწია— ვის ბიჭო, ბებიაჩემს?

სილ.— ბებიაშენს, საწყალ ბებიაშენს, სამწუხაროა, მართალია, თავი შეიკავე. უნდა ვიფიქროთ, რომ გადაურჩებოდა. შეე კაცო, სამოცი ტონა არც ისე მძიმეა, რომ ვერ გადაურჩეს.

კოწია— (იცინის) კი მართალია, ბებიაჩემი რომ ზესტაფონშია ბიჭო?

სილ.— ზესტაფონში? მით უკეთესი, აკი გითხარი გადაურჩებოდათქო! მომილოცავს ბებიაშენის გადაურჩენა, მაყარაჩი შენზე!

კოწია— სამოციტონიანი ყუმბარა სად გაგიგონია, სამოცი ტონა არ იქნებოდა.

სილ.— რა ვიცი, შეიძლება ოცი ტონა იყო.

კოწია— არც ოცი.

სილ.— შეიძლება ხუთტონიანი იყო.

კოწია— არც მაგდენი.

სილ.— არა, მართალი გითხრა არც მე მჯერა, მართალია ნახევარი ტონა ქე იქნებოდა.

კოწია— არც ეგ იქნებოდა, არ მჯერა.

სილ.— რა ვიცი, რაცა ყუმბარის ნატეხი ჩამოვარდაო, გავიგონე და...

კოწია— გაიგონე და მომატყუილე? შენ შეგარცხენა ღმერთმა, თუ ბიჭი ვარ, მეც გადაგიხდი.

(სილიბისტრო და კოწია ერთმანეთს გაეღრიკებიან და აივნებიდან გადიან. გამგლელები, რომლებიც უსმენდნენ ასეთ „საქმიან“ ლაპარაკს, შეუკუთხებენ მათ და გზას განაგრძობენ.)

ქიშვარდა

ც ი ღ ი ს ნ ა მ ე ბ ა

ფინეთის ჯარის ერთერთი ნაწილის უფროსი თვალბრუტინენი ცდილობდა გერმანულ უაზისტებთან სამსახურში თავი გამოეჩინა.

ერთხელ მეზობელი ნაწილის უფროსმა მიუთითა თვალბრუტინენს, რომ მის ნაწილში დეზერტირობაა.

თვალბრუტინენმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო.

— როგორ მაკადრეს რა უნდათ ჩემს ნაწილში დეზერტირებს?! ალბად თვითონ ყავთ დეზერტირები და თვალის ასახვევად ჩემს ნაწილს ასახელებენ.

— მაინც საჭიროა შევამოწმოთ: იქნებ ვინმემ აღმოაჩინოს. თუ ვერ აღმოჩნდა, მაშინ სრული საბუთი გვექნება ვთქვათ, რომ ჩვენთან არ არსებობენ დეზერტირები. გამოჰყავით დღესვე 30 ჯარისკაცი და გაგზავნეთ დეზერტირების საძებნელად. სამ დღეში შიპატაკით შედეგების შესახებ.

თვალბრუტინენის დავალების შესრულება უფროს სერჟანტ თვალბრუტინენს მიანდეს. იგი ოცდაათი ფინელი ჯარისკაცის თანხლებით იმავე ღამეს გაემგზავრა. დეზერტირების საძებნელად მთელი ღამე იარეს ჯარისკაცებმა. მეორე დღეს, როცა მოგროვდნენ ოცდაათის ნაცვლად ოცდასამი ჯარისკაცი აღმოჩნდა.

— დეზერტირები არსად სჩანან! — მოახსენეს თვალბრუტინენს ჯარისკაცებმა. თვალბრუტინენმა მაინც გააგრძელა დეზერტირების ძებნა. მეორე ღამის შემდეგ, როდესაც დეზერტირების მძებარი ჯარისკაცების რიცხვი ოცდაერთიდან თორმეტზე დავიდა, დანარჩენების კვალის ძებნა ამაო იყო.

— დეზერტირები არსად სჩანან! — კვლავ გაიმეორეს მათ.

თვალბრუტინენმა მესამე ღამითაც გააგრძელა დეზერტირების ძებნა. ძებნის შემდეგ თორმეტ კაცის ნაცვლად შესაკრებ ადგილზე სამი ჯარისკაცი დაბრუნდა.

— დეზერტირები არსად არიან, ჩვენს ნაწილში არასოდეს არ ყოფილა და არც შეიძლება იქნეს დეზერტირობა — ამაყად განაცხადეს მათ.

— აკი ვამბობდი, რომ ცილს გვწამებენ მეთქი?! ოცდაათი კაცი გავგზავნეთ, სამ დღეღამეს ძებნეს და ჩვენს ნაწილში დეზერტირობის კვალი მაინც ვერ აღმოაჩინეს! პასუხისგებაში მივცემ, დღეში გამოვიწვევ ვინც აწი ვაბედავს და ეჭვს გამოსთქვამს თითქოს ჩვენს ნაწილში დეზერტირების გამოწახვა შეიძლებოდეს. — კმაყოფილებით წარმოსთქვა თვალბრუტინენის პატაკით აღფრთოვანებულმა თვალბრუტინენმა.

ს. ისარიძე

ზ რ ო ნ ვ ი ს ი უ მ ო რ ი

ნაწილების ნაწილები

- ობერ-ლეიტენანტო, სად არის თქვენი ნაწილები?
- ნაწილებში, ბატონო გენერალო, ძლიერ ცოტა ხალხი ღარჩა.
- სად არიან ისინი?
- იმათგან მხოლოდ ნაწილები ღარჩა.

(„საბჭოთა ვარსკვლავი“)

გერმანულ სკოლაში

- მასწავლებელი — მან ვოშკე, მიჩვენეთ რუკაზე კელნო, ესენი, ლიუბეკი, ბრემენი.
- მოსწავლე — ვერ გიჩვენებთ ბატონო მასწავლებელო.
- მასწავლებელი — რატომ?
- მოსწავლე — ინგლისელთა ავიაციამ უკვე წაშალა ისინი.

შეაჩვია

- რატომ განაცხადა გებელსმა, რომ კელნს თავს დაესხა ინგლისის მხოლოდ 70 თვითმფრინავი?
- განა ვერ მისვდი? რომ მას განეცხადებია, რომ თავდასხმაში მონაწილეობდა ათასი თვითმფრინავი, ხალხი იფიქრებდა, რომ ნამდვილად 10 ათასი იყო.

(„საბჭოთა დროშა“)

მოსწავლელი სიტყვისათვის

- ცნობილმა ვენელმა მსახიობმა ფერდინანდ ვეისმა ესტრადიდან განაცხადა: წინა დღე ვცხოვრობდი კარგად. ესლა — უკეთესად. მაგრამ უშეგობესი იქნებოდა, რომ ესლაც კარგად ვცხოვრობდეთ.
- გერმანელებმა ამ მოსწრებული სატყვისათვის ვეისი დააპატიმრეს.

(„გავანადგურეთ მტერი“)

ჩვეულების ქალა

- ფრიც — რატომ არის, რომ კარლი სულ მუღამ თავჩადუნული დადის?
- მარსტ — ჩვეულებაა. უკანასკნელ თვის განმავლობაში რუსების არტილერია საშუალებას არ გვაძლევდა აგვეწია ცხვირი მიწიდან.

(„წითელარმიელი“)

ახალგაზრდა მხასპრები — საბავულო ომის თემაზე

გოგია გამოთხოვა

„მოზდოკის რაიონში მოკლულია გერმანელთა სატანკო არმიის სარდალი ფონ კლაისტი“.

საინფორმაციო ბიუროსგან

ნახ. გ. გელაშვილისა



ჭიტლერი — რა ეშველება ჩვენს ტანკებს უკლასიტოდ, აპოლონ...
გებელსი — გულს მუ გაიტეხთ, ფიურერ, ჩვენი ტანკები საიქვოშიც ბლომად ვაისტუმრებს წითლებმა.

ფრიცის ილბალი

ნახ. კ. პირადოვისა



— რა მამაცი მფრინავია ფრიცი, კვლავ უფროსად დაბრუნდა.

— ილბლიანია, ძლიერ სწრაფი თვითმფრინავი შეგება და გამოქცევას სწრაფად ახერხებს.

„გამოსაპალი“

ნახ. ი. ქავთარაძისა



გებელსი: უბედურება გვეწვია შერ ფიურერ, ჩვენმა ჯარებმა მრავალი მოკლული დასტოვეს და უკან დაიხიეს, როგორ მოვიქცე?

ჭიტლერი: — გამოაცხადე რადიოში, რომ ჩვენი ჯარები გეგმაშეწონილად იხევენ წინასწარ გამზადებულ პოზიციებზე, ხოლო ჩვენი ზოგი ნაწილი გამავრდა მტრის ზურგის თხრილებში.

ახალი მეგობრობა

„ბუდაპეშტზე საბჭოთა ავიაციის განუწყვეტელი თავდასხმების შედეგად, მწვევე დარტყმები განიცადეს გერმანელებმა, რომელნიც ათიათასობით დასახლდნენ ამ ქალაქში როგორც წყნარ თავშესაფარში“.

ნახ. ი. მახინასი

გაზეთებიდან



მერმანელი: — უნგრეთში — დალაზეროს ეშმაკმა, აქი მეტეოროლოგები ამტკიცებენ, უღრუბლო ციდან მენი არ გავარდება, აქ კი, რამდენჯერაც წითელი ვარსკვლავებით მოიჭედება ზეცა, იმდენჯერ ვაშინად-გურებელი მენი ვარდება.



Handwritten signature or stylized text.

1
 ჟაკო ჭკვიანი თუთიყუში იყო. პიონერმა პაშამ იგი სასოფლო-სამეურნეო გამოყენებაზე მიიღო ჯილდოთ. ჯილდო კი იმითმ მისცეს პაშას, რომ მთელი რაიონის სკოლებში მისი დაარსებული ნატურალისტთა წრე საუკეთესო გამოდგა. პაშამ ჩინებულად გაწვრთნა ჟაკო. ისე ალაპარაკებდა, ისეთ სიტყვა-პასუხს შეაჩვია, რომ ჟაკო სასოფლო კლუბის სცენაზეც კი გამოჰყავდა. უნდა გენახათ რა სიცილ-ხარხარი იდგა კლუბში, როცა სცენაზე ჟაკოსა და პაშას დიალოგი გაიმართებოდა...

აი, მაგალითად, როგორი დიალოგი გაიმართებოდა ჟაკოსა და პაშას შორის:

პაშა: ჟაკო, ვინ ცხოვრობს ჩვენს სოფელში ყველაზე უკეთესად?

ჟაკო: პატროსანი და მუყაითი მშრომელი.

პაშა: ჟაკო, ვინ ცხოვრობს ჩვენში ყველაზე ცუდათ?

ჟაკო: ცულლუტი და უქნარა.

პაშა: ჟაკო, რატომა კლუბის იატაკი ჩანგრეული?

2
 ჟაკო: ჰკითხე ჩვენს თავმჯდომარეს.
 — პირდაპირ ნახევრადამიანია ეს ჟაკო! — ამბობდნენ სოფელში და სოფელს უყვარდა ჟაკო. ასეთი იყო ჟაკო და პაშას თავი მოჰქონდა ჟაკოთი.

3
 მას შემდეგ კი, რაც ფაშისტები ვერაგულად დაეცნენ თავს ჩვენს ქვეყანას, ჟაკოს რეპერტუარი შეიცვალა. პაშამ ანტიფაშისტური ლოზუნგები შეასწავლა ჟაკოს, ახლებურად გაწვრთნა და შეაძულა მოძალადეები: ახლა სოფელში ჟაკოს წარმოდგენისათვის არავის სცალოდა, მაგრამ პაშა მაინც ამბობდა: ნახეთ ჟაკოც თუ არ ვაოზე ფაშისტების წინააღმდეგო. მართლაც ჩქარა გაიმართა ჟაკოს ომი ფაშისტებთან.

ფაშისტები რომ პაშას სოფელს შემოესიენ, პაშამ გადამალა ჟაკო, მეორე დღეს ჩხრეკა და პირველი აწიოკება რომ დასრულდა, გერმანელმა კომენდანტმა ხალხი შეკრიბა მოედანზე ახალი წესრიგის გამოსაცხადებლად. პაშამ თავისი გალია მოიტანა და შეუმჩნეველად ხეზე ჩამოჰკიდა: აბა ხეს ვინ შენგდავდა, როცა სოფლები

დაღონებული იყვნენ და თავი ჩაქინდრული ჰქონდათ კომენდანტმა სიტყვა წარმოსთქვა ახალ წესრიგზე და რბილად დაამთავრა:

— ვინც ჩვენ დაგვემორჩილება ტყილად და უზრუნველად იტხოვრებს...

— არ დაუჯეროთ ფაშისტებს! სიკვდილი ფაშისტებს! — მოისმა უცებ კომენდანტის სიტყვის პასუხად. მოედანი შეკრთა. კომენდანტი გაფითრდა. არ იცოდა მართლა მოესმა ეს ხმა, თუ მოეჩვენა და ისევ გაიმეორა:

— ვინც ჩვენ დაგვემორჩილება, ტყილად და უზრუნველად იტხოვრებს. და ისევ მოიმა მკაფიოდ, გარკვევით:

— არ დაუჯეროთ ფაშისტებს! სიკვდილი ფაშისტებს. კომენდანტის სისწლი მოაწვა თვალეში და დაიღრიალა:

— ხოლო ვინც ჩვენ გვეურჩება მოესპობთ, გაგანადგურებთ!.. იცოდეთ, არ არის ძალა, ჩვენ რომ გაგვიმკლავდეს!..

— ეი შენ! რას ტრაბახობ მანდი! — მოისმა ისევ ისე პასუხად.

კომენდანტმა მიიხედ-მოიხედა. მოედანზე შეკრებილმა ხალხმაც გაკვირვებით მიიხედ-მოიხედა. პაშა იდგა ხის ძირას აღელვებული, გაწითლებული. ეტყობოდა, ეს 12 წლის ბავშვი მეთაურივით იდგა ბრძოლის ველზე და ელოდა ბრძოლის დასასრულს. კომენდანტმა ბრაზ-მორევით სთქვა:

— ვის მობებრდა თავი? ვის? ახლა გავათავებ!

— შენმა მზემ! ძალიან კი მეშინია შენი! — მოისმა პასუხად და იმავე დროს ჟაკოს ფრთებმა გაიფრთხილა ახლა ყველა მიხვდა, რომ ეს იყო ჟაკო. ხალხს სიცილი შესკდა, ხოლო კომენდანტი მიხვდა, რომ ჟაკო განგებ იყო აქ მოყვანილი და მუშტ-მოღვრებული მიეარდა გალიას.

— გაჩუმდი! გაჩუმდი, შე სალაზანა! — დაიყვირა კომენდანტმა.

— გაჩუმდი! გაჩუმდი, შე სალაზანა! — გაიმეორა ჟაკომაც.

რადგან გალია მალა იყო ჩამოკიდებული, კომენდანტმა განკარგულბა გასცა:

— დაახრჩვეთ ეგ მამაძალი! რას ბედავს?

— დაახრჩვეთ ეგ მამაძალი! რას ბედავს? — გაიმეორა ჟაკომაც.

— თუმცა სიცილის გუნებაზე არავინ იყო, მაგრამ სიცილი ვერავინ შეიკვია.

— ვინ მოიყვანა აქ ეს მამიშინი? დაახრჩვეთ! — ყვიროდა კომენდანტი.

— ვინ მოიყვანა აქ ეს მამიშინი? დაახრჩვეთ! — ყვიროდა ჟაკოც.

ერთი გერმანელი ჯარისკაცი აცოცდა ხეზე, ჩამოხსნა გალია და შიაწოდა კომენდანტს. კომენდანტმა გააღო გალიის კარი. ჟაკომ ხიფათი იგრძნო და თავისი ბაგარი ნისკარტი მაგრად ჩაჰკრა ხელში კომენდანტს. კომენდანტს ეტკინა და გამოიღო ხელი. ჭკვიანი ჟაკო წამსვე გამოჰყვა ხელს, გაინავარდა ჰაერში და დიძახა:

— არ დაუჯეროთ ფაშისტებს! სიკვდილი ფაშისტებს!...

3.
 მეორე დღეს სოფელი ამაყობდა პაშას ჭკუით და ეუბნებოდნენ ერთმანეთს:

— ყოჩად პიონერო! აგრეც უნდა. საბჭოთა ქვეყანაში ყველას უნდა სჭულდეს ფაშისტი!

როდონ ძორძია

ზუგსოვის სკოლაში

ნახ. გ. ლომიძისა



— კავკასიაში ბლომად გვხვდება მუხნარი, ნაძვნარი და განსაკუთრებით ფიჭვის ტყეები, რისი ტყეებია ჩვენს ოლქში გავრცელებული?
 — ჯვრების ამხ. მასწავლებელი.

ნახ. მ. ვაღბოლსკისა



ოკუპირებული ზონა

ლავალი: რა აზრისა ბრძანდებით ბატონო გენერალო, ჩვენი მოხუცი მარშალის შესახებ?
შტიულმანგელი: ჩინებულად გაწვრთნილი გამოდგა, თუ ახე განაგრძო, დაწინაურება მოეღის. აბა, ქუცი პეტენ! — გადადი მაღაყზე!

„რასის სვომეაზე ზიანავენ“...

გერმანიაში დაამზადეს ჩაი დამპალი სანთვაგისაგან და კურდღლის გამხმარი განავალისაგან.

გაზეთებიდან

ფაშისტურ ქვეყნის სიკეთეს ადვილად იტყვის ბაგენი, რასის სტომაქზე ზრუნავენ ფაშისტი მოამბაგენი.

ქონით ძლივს სუნთქვენ პირადად, ხალხის დოვლათით შეგებულგებს გული არ უთმენთ: „აცხოზენ“ ერზაცებს შეზაგებულგებს.

ხალხს მიმართავენ: ითმინეთ, იმედს ნუ კარგავთ, თქვენაო, თქვენ ფრონტზე თავი გასწირეთ რომ აქ ვიცოცხლოთ ჩვენაო.

კვებაც ხომ გინდათ... ოჯახსაც თქვენსას ჭირდება რჩენაო, ამაზე, გულს ნუ გაიტყვით; თვითონ ვიზრუნებთ ჩვენაო.

თუ სადმე კურდღელს წააწყდეთ, ან მოამრავლოთ თქვენაო, ხელი არ ახლოთ ტყავს, არც ხორცს, არ გაირისხოთ ზენაო.

ხორციც და ტყავიც ჩვენ გვინდა, თქვენ კი გეყოფათ კატები, ან... კურდღლის „წივით“ ნაზავი მიიღეთ სუროვატები.

მედუზა.


ენათა აღკვეცა

ბრძოლის დროს გერმანელი გენერალი ტრიალგბდა ქონში, რომელიც გაეზინჭურებით მას და მის თანამგამაღლებს. ამ ქონში მოთავსებული იყო საკომანდო პუნქტი. გენერალი ჰყვიროდა:

- აბა სად წავიდნენ ისინი? სად? მე ხომ ზუსტი ბრძანება მივეცი წასულიყენენ 211 მაღლობისაკენ. ისინი კი... დაუკავშირდით იმ ნაწილს ტელეფონით!
- შეუძლებელია! — მოახსენა ადუტანტმა.
- რადა? განა კავშირი გაწყვეტილია?
- სატელეფონო კავშირი არის, მაგრამ ენობრივი კავშირი არაა.
- ეს „ენობრივი კავშირი“ რაღაა?..
- თარჯიმანებზე მოგახსენებთ. ნაწილი იტალიურია, ჩვენი თარჯიმანი მოკლეს და იმათ კი არავენ ჰყავთ, რომელსაც შეეძლოს...
- ეგ, დასწყველოს ეშმაკმა! მაშინ მაღლობ 211-ზე გაგზავნე ის ორი ბატალიონი, რომელიც რეზერვში გვყავს.
- ყოვლად შეუძლებელია!
- რადა?
- რეზერვში ჩვენ გვყავან რუმინელები და მაღლობ 211-ზე მარცხნიდან შესატყვად წავიდნენ უნგრელები. როგორც კი უნგრელები დაინახვენ რუმინელებს, მაშინვე მიატოვებენ მოწინააღმდეგეს და ერთმანეთს დაუწყებენ ბრძოლას...
- დასწყველოს ეშმაკმა! ისინი სად არიან — სლოვაკები?
- სლოვაკები უკვე ჩაპბარდნენ ტყვეებად.
- ყველანი?
- ხუთი კაცი დაგვრჩა. ჩვენო, ისინი ამბობენ, შევადგენთ ტყვედ გადასულთა სიასო და მერე თვითაც...
- არამზადები, წუპაკები! ფინელი თარჯიმანი ხომ მაინც გვყავს?
- თარჯიმანი გვყავს... ფინელები არა გვყავან: ისინი გაქლიტეს.
- მაშ რაღა დაგვრჩენო ჩვენ?
- ჩვენ ყველაფერი გვაქვს!
- გერმანელები გვყავს?
- გერმანელები გვყავან. მხოლოდ ცოტანიღა დარჩნენ. მეორე პოლკი გუშინ გადააწყდა რუსების მიერ დანაღმულ მინდორს...
- მაშინ შეატყობინე არმიის სარდლობას, რომ მე სასწრაფოდ ვთხოვლობ დამხმარე ძალას.
- არ გირჩევთ. ისინი ჩვენ გამოგვიგზავნიან ესპანური „ცისფერი“ დივიზიის ნარჩენებს და ისინი რაც მებრძოლები არიან ხომ კარგად მოგვხსენებთ.
- არ გვინდა დამხმარე ძალა! გადავციტ ყველა ჩვენს ნაწილებს, რომ შეტყვაზე ადარ გადავდივართ. ამას ხომ ყველანი კარგად გაიგებენ: უნგრელებიც, იტალიელებიც, რუმინელებიც?...
- ამას ყველანი გაიგებენ! ეხლავე გადავცემ თქვენს ბრძანებას...

გ. არდოვი

ნან. ი. კროტკოვისა



I.

გენერალი ფონ-კლაისტრი დიდ-ოსტატი იყო კვენიხის, გაპკიოდა:—ჩემი ტანკით დამონებას შევძლებ კვენიხის. და რომ ომი გამოცხადდა, იგი ტანკზე სწრაფ აბრუნდა, დაემუქრა საბჭოეთსა... და რა მოხდა?:



II.

ქალაქ როსტოვს მივხალა მაგრამ დეით რა იგემა? ..ცემა... ცემა...



III.

საბჭოეთის დედაქალაქს დაემუქრა მოსკოვს დიდსა, იძახოდა:—ჩემს ხელშია... ხტებდა განგაშს და ხითხითსა. — და რა მოხდა? წადილს მისწვდა? მას მოხკოვი მართლა მისცხვს? — არა, მოხკოვს ვინ მისცემდა?— მას მოხკოვთან მაგრად მისცხვს.



IV.

კავკასიის ქედის იქით ქალაქ მოხდოვს იცნობს ყველა, ფონ-კლაისტრიც მისი ნახვის ხურვილებმა გაახელა — და რა მოხდა? იქაც მისცხვს იმ მკვეზარას და ხელმოკლეს? — არა! ცემას ის გადარჩა... რადგან... მოხკლეს.

გაგილდას გასაჭიკი


გერმანელ ბურგომისტრებს სასტიკად უსწორდებიან უკრაინელი პარტიზანები.

ქმრისაგან გამოგზავნილი ბარათი გახსნა თუ არა, მათილდას შხიარულ სახეს თითქოს შავი სუდარა გადაეფარა. ბარათი ხელიდან გაუვარდა, ამხანაგებს უსიტყვოდ მოშორდა და დაღვრემილმა ოთახის კუთხეში ძირს თავი დახარა. ამხანაგებში აქეთ-იქით ჩოჩქოლი შეიქმნა.

- ცუდი ამბავი ხომ არ შემთხვავა მათილდას ქმარს შმარკეს?
- ისეთი რა უნდა შემთხვევოდ?
- რაკი ჯერჯერობით ცოცხალი გადაურჩა რუსებს, ყველაფერს აიტანს.— ჩემად სთქვა ერთმა და მათილდას პირდაპირ შეხვდა.
- ალბად სამსახურიდან ჩამოაყენეს, ან დაბად სამუშაოზე გადაიყვანეს!
- არა.— წაილულულა მათილდამ.
- მაშ რა?
- სამსახურიდან კი არ ჩამოუყენებიათ, პირიქით, დაუწინაურებიათ, უკრაინაში ბურგომისტრად დაწინაურდა.
- ბურგომისტრად ხომ ჩემი ფრიციც იყო, მაგრამ იმ წყეულებმა...— ტირილით სთქვა შავებში გახვეულმა ერთმა ქვრივთაგანმა.
- დიახ, და აი სწორედ ისინი...
- წყეული პარტიზანები!— მათილდამ სიტყვა ველარ დაამთავრა, პარტიზანების ხსენებაზე ყველას ყრუანტელმა დაუარა.

ილ. ბოლ.

უსიძიურ შავავის შავიკ



ფაშისტნი ბენდობლინი როგორი გავლენა მოახდინა რუსებზე ფსიქიურმა შეტევამ? ფელდფეგელი— ძალიან დიდი, ბატონო გენერალი! შიშისაგან ისე დატრიალდნენ, რომ სულ გაანადგურეს ჩვენი პოლკი...

უკანასკნელი სიზღაკა ამ სიმღერის ტექსტი უნახეს ერთერთ სს-ელს. იერივნული „ოტონიფკა“ ქან. თიქა

ჩვენ ვითოშებით ველურ ბანაკში, უგრძობლად ვთვრებით, ყოველ ცისმარე, პოლიარული წყვდიადი ჩვენთვის ჯოჯოხეთური ტანჯვაა მწარე.

მკვლელები ვგვევართ სისხლისმსმელ მხეცებს ყველა ჩვენგანი სიკვდილსა ნატრობს. ტყეში, ქაობში მთლად გავველურდით, ვერ დავბრუნდებით სახლში ვერასდროს.

ავყროლდით ისე, ვით წუშვე, შლამი, ადამიანის დავკარგეთ სახე. ჯაგარი გვფარავს და ღორებს ვგვევართ იმედი მოკვდა, იგი დავმარხეთ.

აქ ხშირად ვთვრებით, მხოლოდ თრობაში ვიგიწყებთ ტანჯვას და ტკივილს მწარეს, აქვე ჩავკვდებით მალე უდროვოდ, ველარ ვიხილავთ ჩვენს სახლს და მხარეს.

ბრძოლა წავაგეთ და დახოცილთა ჯარისკაცების დამდგარა მთები, თუ არ ვახსოვართ არვის ცოცხალი, ვინ გავვიხსნოს, მითხარით, მკვდრები?

მკბენარებიც კი თითქოს ჩურჩულით მეუბნებიან, მწოველი სისხლის, ველარ იხილავ შენს სახლს ვერასდროს სიკვდილისაგან ვერავინ გიხსნის.

სან—